შპს ,,პრემიუმ ღონისძიებები”

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 1

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....7

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს,, პრემიუმ ღონისძიებები''-ს (შემდგომში ,,კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- *მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;*
- *გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;*
- *ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.*
- *ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი*

საწარმოს დაშვებით,რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

□ კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

□ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

□ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

□ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

□ თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ

დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 ოქტომბერს.

დირექტორი: ნიკოლოზ კობახიძე

შპს ,,პრემიუმ ღონისძიებები”

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეული ლარი)

	2019წ.	**2018წ.**
შემოსავალი	*1,145,809*	*1,851,750*
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(12,268)	(35,764)
საერთო მოგება	1,133,541	1,815,986
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	(1,267,711)	(1,953,899)
საოპერაციო მოგება	**(134,170)**	**(137,913)**
ფინანსური ხარჯები	(15,585)	(5,483)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან	2,017	(5,993)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2	1
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**(147,736)**	**(149,388)**
მოგების გადასახადი	0	0
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი	0	0
წმინდა მოგება/ზარალი	**(147,736)**	**(149,388)**

დირექტორი: ნიკოლოზ კობახიძე

შპს ,,პრემიუმ ღონისძიებები”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	**31.12.2019**	**31.12.2018**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		935,654	1,136,043
საინვესტიციო ქონება		0	0
არამატერიალური აქტივი		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		**935,654**	**1,136,043**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები		43,086	70,610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		11,427	2,747
გადახდილი ავანსები		124,664	72,013
მარაგები		10,680	1,043
სხვა საგადასახადო აქტივი		9,125	0
სხვა გრძელვადიანი აქტივი		84,008	128,100
სულ მოკლევადიანი აქტივები		**282,989**	**274,513**
სულ აქტივები		**1,218,644**	**1,410,557**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,008	13,111
გაუნაწილებელი მოგება		1,099,716	1,247,452
სულ კაპიტალი		**1,111,724**	**1,260,563**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		0	50,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება		57,615	65,156
საგადასახადო ვალდებულებები		0	1,610
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება		29,297	13,623
სხვა ვალდებულებები		20,008	19,605
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**106,920**	**99,993**
სულ ვალდებულებები		**106,920**	**149,994**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,218,644**	**1,410,557**

ხელმომწერი პირი:



დირექტორი: ნიკოლოზ კობახიძე

შპს ,,პრემიუმ ღონისძიებები”
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018 წელი		**13,111**	**1,247,452**	**1,260,563**
პერიოდის მოგება		0	(147,736)	(147,736)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში		(1,103)	0	(1,103)
31 დეკემბერი 2019 წელი		**12,008**	**1,099,716**	**1,111,724**

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: ნიკოლოზ კობახიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პრემიუმ ღონისძიებები“ (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 405113416). კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი კეკელიძის ქ.#25 კორ 6 ბ 17, ხოლო საქმიანობის ადგილი არის: ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ.#88. მისი ძირითადი საქმიანობაა კონფერენციებისა და სავაჭრო გამოფენების ორგანიზება.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2019 წ.	2018 წ.
ნიკოლოზ კობახიძე	*90%*	*90%*
ნიკოლოზ სეფაშვილი	*10%*	*10%*

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

2. მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლაციფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- *მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.*
- *მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.*
- *აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.*

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- *მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაცი ციკლის ან 12 თვის განმავლობაში(რომელიც უფრო გრძელია).*
- *ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.*

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუტაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირთადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

2019-2018 წწ

მანქანა - დანადგარები
4-5

კომპიუტერეული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები 4-5

მსუბუქი ავტომობილები 5-7

სხვა ავტოტრანსპორტი 7-8

ავეჯი და სხვა ინვენტარი 7-8

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა

და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პეროდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობათა მარაგებს, რომელიც წარმოადგენს დამხმარე მასალებს მომსახურეობის გაწევისათვის.

სასაქონლო მატერიალური მარაგები ***(ერთეული ლარი)***	***2019 წ***	***2018წ***
მასალები/ნედლეული	10,679	1,043
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10,679	1,043

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ერთეული ლარი)	***2019წ***	***2018 წ***
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან	11,427	2,747
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,427	2,747

ამონაგების აღიარება

ამონაგების შედგება: ამონაგები საკოფერენციო ან სავაჭრო გამოფენების ორგანიზებისა და ტუროპერატორული მომსახურეობიდან.

მომსახურეობის აღიარება ხდება მომსახურეობის დასრულების მომენტში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი. აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

სავაჭრო და სხვა ვალდეულებები

(ერთეული ლარი)

	31.12.2019 წ	**31.12.2018 წ**
სავაჭრო ვალდებულებები	57,615	65,156
საგადასახადო ვალდებულებები	0	1,610
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	29,297	13,623
სხვა ვალდებულებები	20,008	19,605
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	106,920	99,994

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს,

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2019 წ.
რეკლამის ხარჯი	420
ხელფასი	557,515
იჯარის ხარჯი	40,187
ფ/პ მომსახურეობის ხარჯი	22,733
ა/მ რემონტის ხარჯი	1,809
კომუნიკაციის ხარჯი	2,750
კომუნალური ხარჯი	213
მივლინების ხარჯი	65,552
სატრანსპორტო ხარჯი	8,322
საკონსულტაციო ხარჯი	0
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	4,026
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,474
ცვეთა და ამორტიზაცია	214,683
მომსახურების ხარჯები	314,286
საგადასახადო ხარჯი	9,273
ბანკის საკომისიო	1,610
სხვა ხარჯი	18,858
სულ	**1,267,711**

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე

ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- *დივიდენდების გაცემა*
- *სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის*
- *ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას*
- *უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები*
- *ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები*

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგების განაწილებისას თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019-2018 წლებში ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს, აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებულ მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება. ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელსაც ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათ შეძენასთან. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შემდეგნაირად (გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელის წარმოიშვებოდა ინსტრუმენტის გაყიდვისას ან სხვა ფორმით გასვლისას):

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.

საანგაღიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი:
ნიკოლოზ კობახიძე